ექსპერტიზის

ანგარიში

(კორექტირებული)

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე
არსებულ მიწის ნაკვეთზე,
(ს/კ: 01.14.06.004.003), საცხოვრებელი კომპლექსის (E ბლოკი)
პროექტის არქიტექტურული ნაწილების
„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების
წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016
წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (ს/კ: 01.14.06.004.003), საცხოვრებელი კომპლექსის (E ბლოკი) საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა შპს „ნს სტუდიო"-მ.

საპროექტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენდაცია.

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს შესახებ

1. შენიშვნები

შენიშვნა №	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პრტოექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხობეის წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. *წესები* - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები",
2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

2. პროექტის აღწერილობა

E ბლოკზე განხორციელებული კორექტირებები:

- გაუქმდა -3 სართული, ამის გამო ავტოსადგომების რაოდენბა შემცირდა და 66 ერთეული გახდა,
- 0 სართულზე ქუჩის მხრიდან სადარბაზოში შესასვლელი დერეფანი E13-E14 ღერძებიდან გადავიდა E1-E2 ღერძებს შორის.

დაგეგმარების საფუძველი და მიზნის აღწერა:

პროექტის მიზანი არის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. პროექტის საფუძველს წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმა, განკარგულება ნომრით: № 263., 19 ივნისი 2025 წელი.

ტერიტორიის აღწერა:

საკადასტრო კოდით: 01.14.06.004.003. მიწის ნაკვეთის დანიშნულებაა - არასასოფლო-სამეურნეო. ტერიტორიის საერთო ფართობია 81,065 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ესაზღვრება სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრებაში არსებული მიწები. ჩრდილოეთით მდებარეობს სასაფლაო, აღმოსავლეთით - ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, სამხრეთით -ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზა, ხოლო დასავლეთით - გაუნაშენიანებელი ქანობიანი ტერიტორია.

ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ქანობიანია. საპროექტო შენობის აბსოლუტური ნიშნული ზღვის დონიდან შეადგენს +582.50 მ.

ტერიტორიას გარშემო უვლის სამანქანო გზა. გზაზე მოხვედრა შესაძლებელი სამხრეთით მდებარე მთავარი სამანქანო გზიდან, საიდანაც გაიშლება გზები - მარცხენა და მარჯვენა მხარეს - დაკლაკნილი, ხოლო კომპლექსის ქვედა და ზედა ბლოკებთან - შედარებით სწორი გზა.

პროექტის აღწერა:

კომპლექსი შედგება 9 საცხოვრებელი ბლოკისგან: A, B, C, D, E, F, G, H და I. თითოეული ბლოკი დამოუკიდებელია, თუმცა რამდენიმე ბლოკი ერთმანეთს ავტოფარეხით და დერეფნით უკავშირდება, ამიტომ კომპლექსი განიხილება როგორც ერთიანი არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი.

<u>E ბლოკი</u> მოიცავს ხუთ მიწისზედა, სამი მიწის დონის ქვედა სართულს და ერთ შერეულ - ეზოს მხრიდან მიწისზედა, გზის მხრიდან კი მიწისქვეშა სართულს. მიწისქვეშა სართულებზე განთავსებულია ავტოფარეხი, ბლოკში დაგეგმარებულია 84 ბინა - 2 ა ტიპის და 82 ბ ტიპის. შენობაში არის 2 კიბის უჯრედი და 2 სამგზავრო ლიფტი. -1 -დან 4 სართულამდე, თითოეულ სართულზე მდებარეობს 3 დამოუკიდებელი განიავებადი ტექნიკური ოთახი, სადაც განთავსებულია სართულზე არსებული ბინების ქვაბები, გათბობა-გაგრილების სისტემები და გაზის, წყლისა და დენის მრიცხველები. -1, -2 და -3 სართულებზე არის ავტოფარეხი. ბლოკში შესვლა შესაძლებელია ქუჩის

მხრიდან 0 სართულზე არსებული სადარბაზოსა და მე-2 სართულზე არსებული ხიდის საშუალებით, რომელსაც პირდაპირი წვდომა აქვს ეზოში განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრთან. გადახურვის ფილის ნიშნულია +16.85, ხოლო მიწისქვეშა ბოლო ფილის ნიშნული -9.25.

ფასადის აღწერა:

შენობის ფასადის ძირითადი შევსება შესრულებულია სრიალა ტიპის კარებით, რომლებიც დამონტაჟებულია ხის სტრუქტურაზე (წიფელა), დამზადებული finger joint-ის პრინციპით. კარი აღჭურვილია სასრიალო მექანიზმით და შევსებულია ორმაგი მინაპაკეტით. ხის ელემენტები დამუშავებულია ორმაგი კომპონენტის მქონე პოლიურეთანის გამჭვირვალე დამცავი ლაქით და ცეცხლმედეგი ხსნარით. ხის მასალის ფერია RAL 2011. ფასადის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მასალა:

ფიბროცემენტის ანაკრები პანელები – ფერი: RAL 7044. აღნიშნული პანელები ქმნის ფასადზე არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ არქიტექტურულ ელემენტებს.

თერმულად დამუშავებული ხის საფასადე პანელები – ფერი: RAL 2011. ეს მასალა ძირითადად გამოყენებულია შენობის ზედა სართულებზე, ასევე ფასადზე ვიტრაჟებთან კედლის ჩასახურად და სხვადასხვა მონაკვეთების მოპირკეთებისთვის.

აივნები ნაწილობრივ აღჭურვილია რკინის ზოლოვანი მოაჯირებით, ნაწილობრივ კი შუშის მოაჯირებით.

ტერასული ტიპის ბლოკებში - C და H ბლოკებში აივნების დიზაინი განსხვავებულია: ისინი მოპირკეთებულია ფიბროცემენტის ფილებით, ხოლო მოაჯირის შიდა მხარეს მოთავსებულია მინა. მინისა და ფასადის კედლებს შორის ინტეგრირებულია მართკუთხა ფორმის ქოთნები, რაც ქმნის გამწვანებულ ვიზუალურ ბარიერს და ხელს უწყობს ბუნებრივი გარემოს ინტეგრაციას არქიტექტურაში.

სახურავის გადახურვა:

კომპლექსში ორი ტიპის გადახურვაა გამოყენებული. მწვანე გადახურვა და სტანდარტული სახურავის გადახურვა. C ბლოკში 0-დან 6 სართულამდე და H ბლოკში 1,3,5, და 6 სართულის ტერასებზე სახურავი გამწვანებულია და გადაუხრვის შრეები შემდეგია: რკინა ბეტონის ფილა (250მმ), პემზა (150მმ) , ცემენტის მოსწორება (50მმ) , ბითუმის პრაიმერი, ჰიდროიზოლაცია/ბითუმოვანი რულონური მემბრანა ორი ფენა, ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფი XPS (100მმ), ფილტრაციის ფენა (გეოტექსტილი) სადრენაჟე მემბრანა, დამცავი ფენა (გეოტექსტილი), გამწვანებული მიწის გრუნტი (100მმ).

ყველა ბლოკის სახურავის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად: რკინა ბეტონის ფილა 250მმ, ორთქლსაიზოლაციო ფენა, თბოიზოლაცია/ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფი (XPS) 100მმ, ქანობიანი არმირებული მჭიმი (50-150მმ), ჰიდროსაიზოლაციუო ბითუმოვანი რულონური მემბრანა ორი ფენა.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოკავშირებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის სისტემა. შენობის საძირკველს შეადგენს გაძლიერებული რკინა-ბეტონის ფილა. სართულშუა გადახურვა წარმოადგენს მონოლითურ სვეტებზე დაყრდნობილ რკინა-ბეტონის ფილებს, ურიგელო სისტემით.

<u>ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის აღწერა:</u>

საცხოვრებელი კომპლექსის შიგნით არსებული საზოგადოებრივი მწვანე სივრცე წარმოადგენს 22,300 მ² ფართობის პარკს, რომელიც შემქმნილია მკვეთრი რელიეფის პირობებში — მაქსიმალური და მინიმალური ნიშნულების სხვაობა 23 მეტრს შეადგენს. ლანდშაფტის გადაწყვეტა მოიცავს ბუნებრივ რელიეფთან მაქსიმალურად ინტეგრირებულ ბილიკების ბადის სტრუქტურას, რომელიც აკავშირებს კომპლექსის საცხოვრებელ ბლოკებს ერთმანეთთან და ქმნის მოკლე და საინტერესო კვანძებს. 3 მეტრის სიგანის მქონე საფეხმავლო ბილიკები მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვის ქვაფენილით, პარკის სამხრეთ ნაწილში მოწყობილია 6-მეტრიანი საავტომობილო გზა უსაფრთხოებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის. ბილიკებზე განთავსებულია მოსასვენებელი ადგილები, საჩრდილობლები და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი გასართობი სათამაშო ზონები, საცოცი კედლებით სასრიალოებით და ქვიშის მოედნებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პარკის რეკრეაციულ და საზოგადოებრივ ღირებულებას.
პარკის მნიშვნელოვან კვანძებში განთავსებულია საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ელემენტები. ერთ-ერთი ცენტრალური ობიექტია საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუშაო, გასართობ და დასასვენებელ ზონებს. შენობის სახურავზე მდებარეობს ბელვედერი, რომელიც შლის კომპლექსის პანორამულ ხედს და ამძაფრებს სივრცის საჯარო მნიშვნელობას.

კომპლექსის სამხრეთ ნაწილში, ბლოკ I, A და B-ს მიმდებარედ, რელიეფში ინტეგრირებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც მოიცავს ორ აუზს - ბავშვებისა და პროფესიონალი მოცურავეებისთვის, სავარჯიშო დარბაზს, გასახდელებსა და სპას. შენობის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტურული მახასიათებელია კონსოლურად გადმოკიდებული ტერასა კომპლექსის ხედებით.

პარკის დასავლეთ ნაწილში განთავსებულია წყლის სარკე — ბავშვებისთვის უსაფრთხო დონითა და ცირკულაციით — რომლის გარშემოც მოწყობილია ბუნებრივი ხის დეკი. ეს სარეკრეაციო ზონა ქმნის ეკოლოგიურად დაბალანსებულ და ვიზუალურად მიმზიდველ სივრცეს.

პარკის საერთო კონცეფცია მიზნად ისახავს ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიულ კავშირს და იმ საზოგადოებრივ საჭიროებებზე პასუხს, რომლებიც უზრუნველყოფს ჯანსაღი და მდგრადი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას.

კომპლექსის გარეთ, აღმოსავლეთით, H ბლოკის მიმდებარედ განთავსებულია სპორტული დანიშნულების შენობა-ნაგებობა. შენობა მოიცავს ერთ ღია საფეხბურთო და ორ ღია პადელის მოედანს. საფეხბურთო მოედნის ქვემოთ გადახურულ სივრცეში მოწყობილია საკალათბურთო დარბაზი. შენობაში ასევე განთავსებულია გასახდელები, სველი წერტილები და დამხმარე სივრცეები.

მსგავსი სპორტული კომპლექსები დიდი პოპულარობით გამოირჩევა. ის ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების ჩამოყალიბებაში.

საპროექტო შენობაში მოეწყობა:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;

2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში

აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;

3. შენობა აღიჭურვება ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემით;

4. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;

5. შენობა აღიჭურვება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;

6. არხის კვამლაღმომჩენები განთავსდება კონდიცირების თითოეული სისტემის და ჰაერგამწოვ მთავარ არხებში, ასევე ყველა ასეთი სისტემის მისაერთებელთან;

7. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;

8. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის, განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, დაწნევის სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით, რომელიც საპროექტო შენობის მიმდებარედ განთავსდება.

3. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2)** და საცხოვრებელი ჯგუფის **(სც-2)** დაკავებულობები, კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფები სწ-2** დაკავებულობა (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები -6.35 ÷-3.45 ნიშ-ზე) *წესების* **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18,6 – 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

შემოზღუდული ავტოსადგომი აკმაყოფილებს **406.6.1 – 406.6.3 ქვეთავების** მოთხოვნებს. ავტოსადგომი გარაჟი ასევე აკმაყოფილებს *წესების* **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე აღემატება მოთხოვნილ 2.50 მეტრს, ხოლო ავტომობილისთვის განკუთვნილი პარალელური ადგილის სიგრძე აღემატება მოთხოვნილ 5.00 მ. გასასვლელის მინიმალური სიგანე შეადგენს 5.50 მეტრს, ხოლო გასასვლელის მიმართ ავტოსადგომების განთავსების კუთხე შეადგენს 80-90 გრადუსს,პარალელური დგომისას მინ. სიგრძე 6.0 მეტრია, ხოლო გასასვლელის სიგანე მინ. 3.5 მეტრი, რაც შეესაბამება **406.9.3 ქვეთავის** და **406.9.4.3.1 ცხრილის** მოთხოვნებს.

ავტოსადგომებთან მისადგომად (I,A,B ბლოკებში) მოწყობილია ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გასასვლელი პანდუსი 12.8%, რომელიც თავში და ბოლოში 3.50 მანძილზე შეადგენს 10%-ს, ხოლო სიგანე ბევრად აღემატება მოთხოვნილ 3.50 მეტრს. რაც შეესაბამება **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ავტოსადგომებთან მისადგომად (I, G, E და C ბლოკებში) მოწყობილია ორმხრივი შესასვლელი/გასასვლელი საავტომობილო გზა (სიგანე 6.00 მ), სადაც მოხვედრა შესაძლებელია უშუალოდ რელიეფიდან.

ავტოსადგომებთან მისადგომად (C და D ბლოკებში) მოწყობილია ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გასასვლელი პანდუსი 16.4% და 13.8%, რომელიც თავში და ბოლოში 3.50 მანძილზე შეადგენს 10%-ს, ხოლო სიგანე შეადგენს 3.50 მეტრს. რაც შეესაბამება **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ავტოსადგომებთან მისადგომად (H და G ბლოკებში) მოწყობილია ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გასასვლელი პანდუსი 16.0%, რომელიც თავში და ბოლოში 3.50 მანძილზე შეადგენს 10%-ს, ხოლო სიგანე შეადგენს 3.50 მეტრს. რაც შეესაბამება **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

2. **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** - საცხოვრებელი ბინები:
   E ბლოკში ±0.00 ÷+13.05 ნიშ-ზე,
   შეესაბამება **310.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს მრავაბინიან საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია *წესების* **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით ოთახის მინ. სიგანე 2.90 მ). **1208 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხ. მინ. სიმაღლე 3. 0 მეტრი).

დაგეგმარებული კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები - სტუდიოები აკმაყოფილებს წესების **1208.4 ქვეთავის** ყველა მოთხოვნებს, კერძოდ, საცხოვრებელი ოთახების ფართობი აღემატება მოთხოვნილ 20.5 მ^2-ს, ყოველ დამკავებელზე, თუ ორზე მეტია, თითოეულზე გათვალისწინებულია მინიმუმ 9,5 მ^2 დამატებითი იატაკის ფართობი. თითოეულ ერთეულს აქვს იზოლირებული ტანსაცმლის კარადა, სამზარეულოს ნიჟარა, საჭმლის მოსამზადებელი ქურა და მაცივარი და მათ წინ 80 სმ-ზე მეტი სივრცე, განათება და განიავება, ასევე დამოუკიდებელი სააბაზანო უნიტაზით, ხელსაბანი ნიჟარით და აბაზანით.

სც-2 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18.6, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება *წესების* 508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენიბა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს და 601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენიშვნა: სახურავის გადახურვის მოწყობაში გამოყენებულია ექსტრუდირებული პოლისტიროლის ქაფი (XPS), რომელიც მოწყობილია სახურავის გადახურვის რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილებზე, რომელიც ყველგან, ზემოდან დაფარულია ცემენტის მოჭიმვით (50÷150 მმ. სისქით), ჰიდროსაიზოლაციო მასალით-ბითუმოვანი რულონური მემბრანა ორი ფენა. მწვანე სახურავზე- ფილტრაციის ფენა(გეოტექსტილი) სადრენაჟე მემბრანა, დამცავი ფენა, გამწვანებული მიწის გრუნტი(100 მმ). ალის გავრცელების ინდექსი იქნება 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი 450-ზე ნაკლები (1407.10.1 ქვეთავი).

ყოველივედან გამომდინარე დაცულია სახურავის და სართულშუა გადახურვის ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ქვეთავის და 601 ცხრილით მოთხოვნილი **I-A** კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული **I-A** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
E ბლოკის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „*წესების*“ განმარტების მიხედვით საპროექტო შენობები არ არის მაღლივი.
საპროექტო შენობების სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების მე-10 თავის **1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის** საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეულ სართულზე მათი დაჯამების, **1021.2 ქვეთავის** და **1021.2(1), 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
<u>E ბლოკი</u>
მიწის დონის ქვემოთ -6.35 ნიშ-ზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს და სათავსებს (სწ-2) საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან (123) და *წესების* 1021.2(2) ცხრილიდან და სავალი მანძილიდან გამომდინარე ემსახურებათ ორი გასასვლელი -ორი გზა-კიბე. რომლებიც პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
შემოზღუდულია ორსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით (1009.3.1.2 ქვეთავი). მოწყობილი აქვს ვესტიბიულები, რომლებიც აღჭურვილია დაწნევის სისტემებით.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 53.30 მ-ს.

მიწის დონის ქვემოთ -3.45 ნიშ-ზე განთავსებულ სასაწყობო სწ-2 დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან (87) ემსახურებათ ორი გზა-კიბე, რომლებიც პირდაპირ გარეთ გადის (±0.00 ნიშ.) და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
±0.00 ნიშ-ზე განლაგებულ საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და სასაწყობო სწ-2 დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან (77) ემსახურებათ ორი გზა-კიბე და ორი გზა-კარი, რომლებიც ±0.00 ნიშ-ზე პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
+3.30÷+13.05 ნიშ-ზე განლაგებულ საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და სასაწყობო სწ-2 დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან (89÷94), თითოეულს ემსახურება ორი გზა-კიბე, რომლებიც ±0.00 ნიშ-ზე პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 58.80 მ-ს.
გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი შეადგენს 22.70 მეტრს, რაც არ აღემატება 23 მეტრს და აკმაყოფილებს **1014.3 ცხრილის** მოთხოვნებს.
ყველა გზა-კიბე დანარჩენი სივცეებისგან შემოზრუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით. გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.
შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.
ბოლო სართულიდან სახურავის ზედაპირზე მოხვედრა შესაძლებელია გზა- კიბის მეშვეობით.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბის სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია - 1.20 მ (მოაჯირებს შორის) სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს;

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.80 მ სიგანის.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის

გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.

6. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (**1104 ქვეთავი**), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას. მისაწვდომი შესასვლელების გარდა, ყველა მთავარი შესასვლელის, 60%-ზე მეტი მისაწვდომია.
მოწყობილია მისაწვდომი გზა-კიბეები, რომლის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის ტოლია 1.20 მეტრის და იატაკის დონეზე მოიცავს გადიდებული ბაქნის საზღვრებში თავშესაფრის ფართობს, რაც შეესაბამება **1007.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.
E ბლოკების ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, რომლებზეც მოხვედრა შესაძლებელია ლიფტების საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7 ქვეთავის** მოთხოვნებს.
საოფისე ფართებში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტები შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.
სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული განთავსებულია **1107.6.2.1.1 ქვეთავის** მიხედვით. შშმ პირებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა უნდა იყოს ბინების საერთო რაოდენობის 2%, რადგან ბინების რაოდენობა. **E ბლოკი** შეადგენს 86 ერთეულს, აქედან გამომდინარე გათვალისწინებულია ორი მისაწვდომი ა ტიპის ბინის შესაძლებელი მოწყობა, ხოლო დანარჩენი ბინები ბ ტიპისაა.
სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;
ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.
შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემულ პროექტში კონსტრუქციის (**I-A**) ტიპის გათვალისწინებით 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, გათვალისწინებულია გარე კედლების ცეცხლმედეგობის ერთსაათიანი ხარისხი ღერძებში: „E-A-E-D “ „E-D - E-A“, ხოლო სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9 მ-ზე მეტია კედლებს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება და ღიობების ფართობიც შეუზღუდავია.
გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის (**I-A**) შესაბამისად, სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს მოეთხოვებათ ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს და კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს.

„**1505.3 B კლასის სახურავის ანაწყობები. B** კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.“

IA	IB	IIA	IIB	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	C ბ	B	C ბ	B	B	C ბ

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული *ჩესების* **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია შერეული დაკავებულობები **სწ-2** და **სც-2** ჯგუფების სახით.

კონსტრუქციის ტიპიდან (**I-A**) გამომდინარე შენობის ყველა იატაკს (601 ცხრილი), აქვს ორ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხოლო დაკავებულობების შესაბამისად აუცილებელი გამიჯვნები **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს შეესაბამება.

სწ-2 და **სც-2** დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სც-2 ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია **420.2 ქვეთავის** შესაბამისად ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და ორსაათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **708.3 ქვეთავის** მოთხოვნებს;

დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან (ყველა ბლოკში) პროექტის მიხედვით გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება **1018 ქვეთავსა** და **1018.1 ცხრილს,** ხოლო კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 20 წუთი.

გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანია **1009.3.1.2 ქვეპუნქტის** შესაბამისად. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები (716.5.9.3 ქვეთავი), რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.4 ქვეთავის** და **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- საპროექტო შენობის საცხოვრებელი ჯგუფის სც-2-ის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლა 903.2.8 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება არ მოითხოვება.
- შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში გათვალისწინებულია ავტისაშხეფი სისტემის მოწყობა **903.2.10 ქვეთავის** შესაბამისად.
- გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა, მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში. რომელიც შეესაბამება წესების **905.3.1-ის ქვეთავის** მოთხოვნებს.
- ლიფტის შახტებში და კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემის მოწყობა.

შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1. **907.2.9.1 ქვეთავის** მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფი **907.4.2.1 ქვეთავის** თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2. **907.2.11.2 ქვეთავის** მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;

გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება **906 ქვეთავის** შესაბამისად.

საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „*წესების*“ 912 ქვეთავში.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს *წესების* მე-16 თავის მიხედვით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია დაკავებულობიდან და საცხოვრებელი ერთეულიდან (ბინიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს **1602.2 წვეთავის** და **1602.1 ცხრილის** მიხევით.

12. ლიფტების შეფასება:

დაგეგმარებულია 2 სამგზავრო ლიფტი, რომლებიც აღჭურვილი იქნება დაწნევის სისტემით **909.21 ქვეთავის** მიხ., - ლიფტის შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათია (**1702 ქვეთავი**). 716.5 ცხრილის თანახმად, იგივე ცეცხლმედეგობის ხარისხი გააჩნია ღიობის დამცავსაც (ლიფტის კარებს); - სამგზავრო ლიფტის კაბინა აკმაყოფილებდეს საკაცის შეტანისთან დაკავშირებულ **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენიშვნა: ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით. ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია *„წესების“* მიხედვით.

გენერატორი უზრუნველყოფს ლიფტებს სათადარიგო ელ.მომარაგებით.

4.დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე მიმაჩნია, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (ს/კ: 01.14.06.004.003), საცხოვრებელი კომპლექსის (E ბლოკი) არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

არქიტექტორი, ექსპერტი: ნინო მენთეშაშვილი

29. 06. 2026 წ.

ნინო მენთეშაშვილი



მობილური: 995551302525

ელ.ფოსტა: nino.menteshashvili@yahoo.com

ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული

დაბადების თარიღი: 14 აგვისტო, 1963წ.

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1983 - ივლისი / 1988
არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტი
მაგისტრი
მიბმული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

შპს არქ ტრენინგ ცენტრი - ტრენერი

შპს არქ ექსპერტიზის ცენტრი, მაისი/ 2017-დან დღემდე

არქიტექტორი ექსპერტი

ექსპერტად მუშაობის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე:

1. ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვ. 13/13), ს/კ 01.18.06.013.039, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
2. ქ. თბილისში, ერწოს ქუჩა N15-ის მიმდებარედ, ს/კ 01.12.08.010.116, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
3. დაბა მესტია, ფეშდვლარი, მარგიანის ქუჩა (ს/კ 402117026), სასტუმროს შენობა;
4. ქ. თბილისი, ჩიტაძის ქუჩა N11-ში (ს/კ 01.15.05.059.019), სასტუმროს შენობა;
5. ქ. თბილისი, გიორგი საკაძის მეორე გასასვლელი N19 (ს/კ 01.10.13.016.164) საოფისე შენობა;
6. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N29-ში (ს/კ 01.10.15.007.123.), სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტის (საავადმყოფოს) შენობა;
7. ქ. რუსთავი, ტარას შევჩენკოს N 5-ში (ს/კ 02.04.03.737,) ავერსის კლინიკის შენობა;
8. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49-ში (ს/კ 001.14.07.008.187), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა;
9. ქ. ქუთაისი, სადგურის ქუჩა N1, ლუკა ასათიანის ქუჩა, 1-ლი შესახვევი N7 (ს/კ 03.06.01.195, ს/კ 03.06.22.658), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
10. ქ. ქუთაისი, ბორის გაპონოვის ქუჩა N 12 (ს/კ. 03.03.22.415) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
11. ქ. თბილისი, მეტეხის ქ. N14 (ს/კ 01.17.01.091.012), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
12. ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩის ბოლოს ს/კ 01.18.06.013.064, მრავალფუნქციური შენობა;
13. ქ. თბილისი, რომანოზ ხომლელის I შესახვევი, კორპუსი N4ა (ს/კ 01.19.20.007.009), ვარკეთილი II მიკრორაიონი (ს/კ 01.19.20.007.108, 01.19.17.007.094), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

14. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N 6, N 8 ს/კ 01.10.10.023.071, მრავალფუქციური კომპლექსი;
15. ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N 3ა, ს/კ 05.29.06.038, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
16. ქ. ბათუმი, ანდრონიკაშვილის შესახვევი N 6 (ყოფილი შაფათავა) ს/კ 05.28.29.122, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
17. ქ. თბილისში, დიდ დიღომში, II და III მიკრო/რაიონს შორის (ნაკვეთი 06/071), ს/კ. 01.10.08.006.642, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
18. ქ. თბილისი, შუამთის ქუჩა №48 (ს/კ: 01.19.20.022.007), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
19. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N49, N49-ა, N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.07.008.187), სპორტის უნივერსიტეტის შენობა;
20. ქ. რუსთავი, მიკრო/რაიონი XX, მიკრო/რაიონი XXI და ლეონიძის ქუჩას შორის მიმდებერედ (ს/კ 02.03.06.074), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
21. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, მდ. ფარავანის ხეობა, ჰიდროელექტროსადგური „არაკალი ჰესი“-ს შენობა;
22. ქ. ქუთაისში, აღმაშენებლის მოედანი, თბილისის ქუჩა N1, ს/კ 03.03.21.498, მულტიფუნქციური სახელოვნებო ცენტრი;
23. ონის მუნიციპალიტეტი, მდ. ღამრულაზე, „არაკალი ჰესი“-ს სააგრეგატე შენობა;
24. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ-ს მიმდებარედ (ს/კ 01.14.01.001.419), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
25. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატანები (ს/კ: 06.01.45.961), მრავალბინიანი სასტუმროს ტიპის შენობა;
26. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ.N160, ჯავახიშვილის ქ.N43, ბაგრატიონის ქ.N156, ბაგრატიონის ქ.N158 ტერიტორიაზე;
27. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, დ.აღმაშენებლისქ.N12;
28. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N37-ში (ს/კ 05.22.10.020), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
29. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გონიო, კახაბრის დასახლების ტერიტორიაზე ს/კ 05.32.27.045);
30. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი- სასტუმრო, ქ. თბილისი, ვარკეთილი(ს/კ 01.19.39.012.037);
31. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძისქ.N27-ის მომდებარედ (ს/კ 01.14.03.040.392);
32. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, ტაბახმელა, სოფ.შინდისი(ს/კ/81.02.97.572);
33. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ.N34 (ს/კ 01.20.01.136.035);
34. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაბა ბაკურიანი(ს/კ 64.30.04.832);
35. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დაბა გუდაური(ს/კ 74.06.11.928);
36. ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დიდი ლილო(ს/კ81.08.06.470);
37. ქ. თბილისი, დიდი ლილო, საწყობი(ს/კ 81.08.17.741);
38. საწყობი - ხილის შესანახი, მცხეთა, ქსოვრისი(ს/კ 72.01.10.120);
39. ოჯახური ტიპის სასტუმრო, მცხეთა, მუხრანი(ს/კ 72.09.18.149);
40. რუსთავის წყალი -რეკონსტრუქცია, ქ.რუსთავი, წმ.ნინოს N5(ს/კ 02.05.07.562);
41. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირზირი N61-ში მდებარე შენობაზე საოფისე ფართების დაშენება (ს/კ 01.16.05.003.069);
42. ქ. თბილისი, ქვიშის საშრობი საამქრო - ლილოს დასახლება(ს/კ 81.08.19.404);
43. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;
44. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. რუსთავი- XXI მ/რ, ს/კ 02.03.05.018;
45. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქ. შპს „არეა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64. 30. 17. 044), მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი;
46. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;
47. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N68ა, ს/კ 01.18.13.033.018, თეთრეულისა და ტანსაცმლის სამრეცხაო;
48. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი. ნაფეტვრები;
49. მრავალფუნქციური კომპლექსი, ქ. თბილისი, კვირაცხოვლის ქუჩა;
50. ქ. დუშეთი, ობსერვატორიის მიმდებარედ, ს/კ 71.51.10.158, საოჯახო სასტუმრო;

51. ქ. თერჯოლა, შპს „თერჯოლმშენის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 33.09.33.373, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
52. ქ. თბილისი, მთაწმინდის ქუჩა N 14-ში (ს/კ 01.15.06.002.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
53. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. N21, ს/კ 01.15.05.061.017, სასტუმრო „ასტორია“;
54. ქ. მარნეული, აბდულა შაიგის ქ №3-ში, ს/კ 83.02.19.347, საცურაო აუზი;
55. ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N28, ს/კ 01.12.08.016.006, მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, კომერციული);
56. ქ. თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. N 19-ში - (ს/კ 01.15.05.014.009) სამუსიკო სკოლა "ნიჭიერთა ათწლედი"-ს რესტავრაცია-რეაბილიტაცია;
57. ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, სამედიცინო და ჯანმრთელობის დანიშნულების ობიექტი;
58. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;
59. საგარეჯოს რაიონ სოფელ ხაშმში, ს/კ 55.15.63.038, ღვინის ქარხნა;
60. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქუჩაზე (ს/კ64.30.02.122), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი;
61. ქ. თბილისში, სამრეკლოს ქ. N13, ს/კ 01.17.01.016.008, ოჯახური ტიპის სასტუმრო;
62. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხათგვერდი ს/კ 72.12.04.044, მრავალფუნქციური შენობა (ბიბლიოთეკა, სასტუმრო);
63. ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩაN2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ № 01.19.33.008.060), სასაწყობე შენობა;
64. ქ. გურჯაანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #61-63-ში (საკ. კოდი #51.01.61.504) სასტუმრო;
65. ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური(ს/კ: 74.06.11.287).სასტუმროს შენობა;
66. ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე ს/კ 01.72.14.008.293, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი;
67. ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ქუჩა # 1-ში, ს/კ 01.12.12.002.001, მრავალფუნქციური შენობა;
68. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატახტარი (ს/კ.72.03.26.452). ,,კოკა-კოლა-ს“ სათაო ოფისის შენობა;
69. ქ. თბილისი, სოფელი ქვემო ლისი საკადასტრო კოდი 72.16.18.965, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი;
70. დაბა სტეფანწმინდა, ს/კ 74.01.11.134, სასტუმროს შენობა;
71. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი, ს/კ 72.08.20.062, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საწარმო;
72. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;
73. ოზურგეთის რაიონი, კაპროვანი, ქვემო ნატანები, ს/კ 26.01.50.455, სასტუმროს შენობა;
74. ქ.თბილისი, ლერწმის ქ N5, ს/კ 01.17.14.003.679, მრავალბინიანი საცხ. სახლი;
75. ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N43-ის მიმდებარედ, 01.14.06.007.055 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
76. ქ. თბილისი, ტერევერკოს ქ.№14-ში, ს/კ 01.13.01.018.093, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

77. ქ. ახალციხეში, ახალციხის გზატკეცილის მიმდებარედ, ს/კ 62.09.60.977, პროკურატურის საოფისე შენობა;

78. ქ. თბილისი, კახეთის გზადკეცილი #65-ში (ს/კ 01.19.21.003.129), მრავალფუნქციური შენობა;

79. ქ.თბილისი, ქინძმარაულის ჩიხი, ს/კ 01.19.34.003.080, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

80. ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 72.16.21.679, საგანმანათლებლო ობიექტი - სკოლის შენობა.

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვოდოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო,იან/2014-დან 04 / 2017 - მდე,

<u>მოვალეობები:</u> -სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა, კოორდინირება, მონიტორინგი;- აზომვითი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დეფექტური აქტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ცალკეულ ობიექტებზე მასალების მომზადება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსების გამოცხადება;- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო კომისიაზე წარდგენა; -წინადადებების წარდგენა სატენდერო კომისიისათვის საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების თაობაზე, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადების უზრუნველყოფა.

ამ პერიოდში შესრულებული სამუშაოები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის გადმოცემულ მიწის ნაკვეთებზე, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე თექვსმეტ სართულიანი 25 კორპუსი.
2. ქ. ზუგდიდი, ბარამიას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე თოთხმეტ სართულიანი 29 კორპუსი.
3. ქ. წყალტუბო, გვიშტიბი, 8 სართულიანი რვა კორპუსი;
4. ქ. გორი, მოსკოვის ქუჩა, 8 სართულიანი ოთხი კორპუსი;
5. ქ. მცხეთა, არმაზი, ყოფ. ტურბაზის ტერიტორიაზე 2 ცხრა სართულიანი კორპუსი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის გადმოცემული შენობების საცხოვრებელ ბინებად რეაბილიტაციისთვის ჩატარებული სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე:

1. ქ. თბილისი, სკოლის შენობები(6 ობიექტი -ღოღობერიძის ქუჩაზე, თემქის დასახლებაში და სხვა);
2. ქ. ბორჯომი, ვაშლოვანის ქუჩაზე სამედიცინო დანიშნულების შენობა;
3. ქ. გორი, თავდაცვის შენობა.

დევნილთა განსახლების ობიექტებზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო, სარემონტო სამუშაოები(სახურავების, წყალ-კანალიზაციის და იატაკების) - თბილისი, გორი, წეროვანი და ა.შ.

<u>მიზეზი:</u> სხვა სამსახურში გადასვლა

შტატგარეშე მოსამსახურე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, თებ / 2013 - იან / 2014, (11თვე)

<u>მოვალეობები:</u> დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა(ობიექტების მდგომარეობის შესწავლა) , ობიექტებზე მისვლა, მობინადრეებთან გასაუბრება, მათი საჭიროებებისა და პრობლემების აღწერა (კომპეტენციის ფარგლებში) , შენობის აზომვა, შენობის ტექნიკური მახასიათებლების აღწერა, სპეციალური ფორმის შევსება, ხელმძღვანელობისთვის ონფორმაციის მიწოდება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების

ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება. სარეაბილიტაციო ობიექტების საკონკურსოდ გასატანი მასალების მომზადება. (შენობის გეგმის გამოხაზვა, მოცულობების დათვლა). მიზეზი: დაწინაურება

მიზეზი: დაწინაურება

არქიტექტორი, **შპს"კეი ენდ კეი"**, დეკ / 2010 - თებ / 2013 (26 თვე - 2 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"Mარქიტექტურა**, ოქტ / 2009 - დეკ / 2010 (14 თვე - 1 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"ქოხი"**, მაის / 2004 - ოქტ / 2009 (65 თვე - 5 წელი და 5 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **საქქალაქმშენპროექტი**, სექტ/1988-მაის/2004(188თვე-15წელი და8 თვე) მოვალეობები: ქალაქგეგმარებით პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: ხელშეკრულების ვადის გასვლა

პრეპარატორი, **თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებული საპროექტო ბიურო**, სექტ / 1982 - სექტ / 1983 (12 თვე - 1 წელი)

მოვალეობები: პრეპარატორის ფუნქცია-მოვალეობები
მიზეზი: სწავლის გაგრძელება

ოპერატორი, **გამომთვლელი ტექნიკის სარემონტო ქარხანა**, სექტ/1980-სექტ/1981(12 თვე - 1 წელი)

მოვალეობები: საოპერატორო სამუშაოს შესრულება მიზეზი:

სწავლის გაგრძელება

სრული სტაჟი: 446 თვე (37წელიდა 2 თვე)

ენები

ქართული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), რუსული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი), Microsoft Office Outlook (ძალიან კარგი)

ტრენინგები, სხვა მიღწევები

თბილისის მერიის, მაისი/2010-დეკემბერი/2012
ინგლისური ენის კურსები

რეკომენდატორები

გია ნაჭყებია, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. gianatchkebia@rambler.ru, 599035437

არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

19.05.2023 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ნინო მენთეშაშვილს (პირადი/ნ 01009013304), რომ იგი ნამდვილად 2017 წლის მაისიდან დღემდე მუშაობს შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ში (ს/კ 402050052) არქიტექტორი ექსპერტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

დირექტორი ჯარჯი ჯოხაძე

ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24 599 400 208 archexpertisecenter@outlook.com

დიპლომი

წარჩინებით

НВ № 066462

ეს დიპლომი მიეცა ნინო

გაიოზის ასულ მენთეშაშვილს

მასზე, რომ იგი 1983 წელს შევიდა

საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის

პოლიტექნიკური ინსტიტუტში

და 1988 წელს დაამთავრა

ავტომობილო

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1988 წ.

„ 25 " ივნისის გადაწყვეტილებით

ნ. გ. მენთეშაშვილს მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი
მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1990 წ. „ 12 " 09

სარეგისტრაციო № 1891

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

НВ № 066462

Настоящий диплом выдан Ментешашвили Нине Гаиозовне

в том, что он а в 1983 году поступил а

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1988 году окончил а полный курс

наземного

института

по специальности

архитектура

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „ 25 " июня 1988 г.

Ментешашвили Н.Г.

присвоена квалификация

архитектор

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „ 12 " 09 1990 г.

Регистрационный № 1891

Московская типография Гознака. 1985.

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ნინო

NINO

გვარი / LAST NAME

მენთეშაშვილი

MENTESHASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მდ / F	01009013304

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
14.08.1963	10.10.2032

ბარათის No / CARD No

20IG00742

ხელმოწერა
SIGNATURE